

415

ცისკარი

1865

აგვისტო.
მსოფლიო მეუზღე.
წელიწადი მეუზღე.

წოდება თხზულებათა:

- I — შური. დრამა სამს მოქმედებად. კნ. ბარ ჯორჯაძისა.
- II — სიზმარი (ლექსი) თ. ცნო ბარათაშვილისა.
- III — ფოველ ვი მ. იბუბო, შარბათა. (პოლატიკურა ეკონომია) ლ. ანდაზიანისა.
- IV — მასალა საქარ ველოს ისტორიისათვის. —
- V — უმაწვლი ზარველს წლებში თ. ჯავახი-შვილისა, სხუა და სხუა ანბავი.

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

შ რ ი .

ღრამა სამს მოქმედებად და ერთს სურათად.

თსზ. კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

1865

ბუკალიონი კარსკელაძის ტიპოგრაფიაში.
თბილისს.

მოქმედნი პირნი:

თავადი ვასტანგ ზარბიძე.

სოფიო, ქალი ამისი.

სიდონია, ღარიბის შვილი, თანა შესრდილი სოფიოსი.

თავადი ლევან ღვამიძე, საქმრთ სოფიოსი.

თავადი ზაალ, შიგობარი ვასტანგისა.

თავადი გიორგი, სიდონიას ძმით შეუფიტებულა.

სტეფანე, ფურშალი.

წილისანა.

ჭეთუა.

ღაპუა.

ანდრია.

აფიტრები .

საღდათები .

} მოანლები და მსახურები ვასტანგ ზარბიძისა.

პირველი და მესამე შთქმულება არის ტფილისის ნაპირას, მანღობლათ ზარბიძის სასახლისა და შიგრე მოქმედება იმისსავე ბაჟში . .

ეს პიესა წარმოდგენილი იყო წარსულს წელს სოციალურთა კეთილშობილთაგან, ტფილისის დიდს თეატრში კეთილ განზრახვის სასარგებლოთ.

მოქმედება I.

თეატრი წარმოადგენს ოთახს საკმაოდ მუბილით მო-
რთულს; შარჟუნოვ და შარტსნიოვ კარბები აქვს ოთახსა.

გამოსვლა I.

გასტანგ. (კრესლასუდ ზის, წინ სტოლი უდგას და
ქაღალდებს აჩნევს; შემდგომ აშოილებს ერთს იმეტანს
დაძველებულს ქაღალდს, წარმოადგენს მკვლს დროებს
და დაღონებთ ანობს:) ეს ის გუჟავრი აჩის, რაშლი-
თაც შეუეს უბოძებია მამიჩემისათვის სოფელი ანძა უე-
ნნი რამ ქაღაქში შემოვიდა, შეუე ირაგლის. თუმცა ვა-
რი საკმაოდ ჭყვანდა და კარგათაფ ეომა, შაგრაშ იშერ-
ლებმა ცოტა უზრგი უბრუნეს, შეჭინოვანებმა უღაღა-
ტეს და ამ მიწესით მტერს კვლარ გაუმაგრდა და გაი-
ქნა თვის აჩმით დასახინსნაუათ. ამ მოგსაურობაში,
უცებ რაღაც შოაგონდა, აშოიოხრა და უბრძანა მსლებე-
ლთ, თავადის შვლებს «უშაწვლებო! მე საღაროს აღან
გსჩვი, მტერმა უნდა აიჭლეს, მაგრამ ერთი ჰატარა
ეუთი დამჩა, ჩემის ოთახის თახჩაში და ის მეტათ გუ-
ლს მიკლამს ... ვინცა იშ ეუთს მომიტანს, რასაცა შთ-
ხოვს მიგსტეო... შაშინ მამჩემა თავი დაუკრა და მო-
ახსენა «თქვენის სამსახურისათვის შემიწირავს თავიო »
და გამობრუნდა ქაღაქისაგან. გმირულათ შოაქროლა ცხე-

ნი, გაშობაჲთა შტეჲრში და შევიდა ქალაქში, სადაცა
ბუნიკით ირეოდნენ სხარსნი... გაიარა იმითში, სასახ-
ლესთან შივიდა; გარდასდა ცხენიღამ და შეიბინა შეფის
ოთახში, გაშობატანა სწორეთ ის ყუთი, რომელიც შეფუ-
მა ბრძანა, ჩასდგა ხურჯინში და მოასტა ცხენს... ამ ში-
სკლასა და წაშოსვლაში რამდენს ყოფილბაშს დაუგვიანა
თავები! იმდენი მტერი ღმერთმა მე მომაშობროს!...
თუთანგი გამოვიდა უკნებულად; მოეწია შეფის და მიან-
თო ყუთი. მაშინ ამ ხამსახურისათვის შეფემ ირავლიშ
შუბლსედ დაჭკოცნა და ეს სოფელი უბოძა... მაგრამ,
ვისთვის? მამახუმს ჩემის მეტი არავინ დარჩენია და მე ხომ
სულ უბედურათ გავიარე, რომი პირი ცოდშვილისა, რა შევს,
ერთი თექვსმეტი წლის ქალის მეტი? — ის არის სრული
ჩემი იმედი და ყოველი სასოება იმასედა მაქვს დამყა-
რებული... ვინც ჩემს ქალს შეირთავს, მგონია არც ის
იზარალებს, მაგრამ მე რაღას უნდა შევესწრა სამოც წე-
ლში მისწუელი... ეჰ! თავი დავანებო ამ გულის მომწუკ-
ლელს მოგონებას და ისევ ჩემს მატოცხლებელს სოფი-
ოსთან წავიდე, აქამდის რათ დავიკვიანა? (გაგა)

გამოსვლა 2.

ლეკან. (შემოვა და აქეთ იქით იყურება განკვრეებით.)
ეს რა ამბავია! ხად წასულანქერთი აღარავინა სჩანს! ჩუ-
მათ შევიდე შეტქი, მე უარცა აღარ დავაწვარუნე, აღაყა-
თის კარებიდან შემოველ და აქ უფრო ჩემოზან, (გაიკ-
დის, ხან აქეთ კარებისაკენ შეიხედავს და ხან იქით გა-

რუბისკენ შეიჭვრებოდა, რომ ვერას დაინახავს, იძახის:)
ბიჭო! ბიჭებო!. . . ადარტარავინ ბიჭი სჩანს, გაგონილია!
სად წასულან?. . . (მივა და დაჟდება სვამსედ) ოჰ რა
სახით დავილაღე!. . . ზატარა ხანს დავისვენო მანდ. . .
ტეშმარიტათ ჩემს გულსედ შევე უსჯავლობ, რას დავსწა-
ნწადებ? ურველ დღე ამით ვარ წინ მიღამდება და ბეგრ-
ველ გავა სავი დღე რომ, სოფიოს თვალთ დანახვა არ
შეუღიროსო. იმსახტ, რომ ჩემი სიყუარული ჭქონდეს, ასე
მორქტვას? თითქმის აღარ გაშობდებოდა ამ ფანჯარასა.

გამოსულა 5.

ისივე და ლაშუა (შემოვა და თავს დაუჭამს,)

ლაშუა: რადის მობძანებულხარ შენი ჭირივე?
მარტოვა მობძანდით? . .

ლეან. სად იყავი, არ ვიცი, რატ შე გიყვირო და
ერთმის არავინ გამოშედეო.

ლაშუა ჩუქნ არავის არ გტვიტია თქუქნნი მობძანე-
ბა. . . საკურველია ისე როგორ შემობძანდი რომ ვერ
დაგინახეთ?

ლეან. ბატონები სადა ბძანდებიან?

ლაშუა. ქალები დიდიხვე წააღისას დაეპატოენათ, ბა-
ტონსვი სტუმრები ჭყვანდა. ეს იყო დაიშაღენ და ბა-
ტონი იქ წაბძანდა.

ლეან. დაიგვიანებენ თუ არა?

ლაშუა. შგონია, რადგანტ ბატონი ესლახან წაბძანდა.

ლეან. მამ შე შინ წავალ და, თუ ჩემი ზატავისტემა

ტაქსის, სოფიოს შიბისკენ, რომ დღეს ლევან ორჯულ
შოვიდათქო.

ლავრა ბატონი ბძანდები! სხუასკი არას შიბძანებთ?
ლევან. სხუა რაღა გითხრა.

ლავრა. მეც გაგებულდი მაქუს როგორც არის საქმე.
ლევან. (განტყუვებით და დაფარვით) როგორ? რა საქმე?

ლავრა. მე არას მიმალავით; ხომ იცით სოფიო ჩემი
განდილია და ყველა ბიჭებსედ მე უფრო მიხნეული
ვარ, განა ვერას გავიკებდი.

ლევან. მეგი არა გაშიგია რა და თუ იცი რამე შენვე
სთქვი.

ლავრა. როგორ არ ვიცი, რომ თქვენს ერთმანეთი
გიყვარათ.

ლევან. ჩემი სიყვარულით რა უნდა შევიძინო მწუხარ
რების შეტობა იმისაგანა არასა ვჭნედავ.

ლავრა. დაცარწმუნებთ რომ იმასაც ძალიან უყვარხართ,
როდესაც დაიკვიანებთ და არ მობძანდებით ხოლმე აღარ
იციის რა უნდა ქნას, თვალები დასწუდება ხოლმე გზისა-
კენ და სულ ოხრავს.

ლევან. (ამ თქმით გამხიარულდება და მოჭყვება:)

რადგან გცოდნია ჩემო ლავრა, მეც გატყუვ ყოველსკე:
როდესაც პირველათ მე სოფიო ვნახე, თითქოს იმის თვა-
ლებში ასე ეწერა: «ამ წუთიდან საუკუნოდ ჩემი ტყვე
უნდა იყოვო!... რაკი ეს ვიგონე, გადივდა და განიდგა
სიყვარულმა ჩემს გულში ფესვები, რომლისაც აღმოთ-
ხვარა არას ძალას აღარ შეუძლიან... ამისა აქეთ ორმა წე-
ლიწადმა გაიბინა ჩემთვის უიმედოთ; კეთილები, ჩემი

ავათ მეოფობის შიშვენი იყო სოფიოს სიუჟარული, სეკლას-
საგან შევიქენ დაღრღნილი და მისურტებული, უოკელს
სელს კებრალებოდი, მაგრამ იმასკი სიბრალული არას
გნით არ მიუცა, იმ საშინელს ავათ მეოფის უტფათ იმი-
სმა ნახვამ ჩამიბრუნა ზარში სული, ერთმა იმისმა დიმი-
ილმა მაიშედა და უსასღერო ტანჯვიდან გამოშეყვანა, მა-
გრამ მხედრი მღვენის თჯისის სასიკვდინეს აღის
მსტაკის მოქმედებით (დაფიქრდება) ამგვარად იმის
ქტეკას ეტეობა განა ნამდვილი და გულის შემწველი სი-
უვარული? ერთი საათი უიშისათ დროს გატარება მე ში-
მანნია საუგუნეთ.. (იღიმის მწარეთ) ნეტავი ისე არ გამოცნა.

ლაშუა. რა ვქნა; როგორ ღაზარაკობთ, განა მაგრე
ეჭვებიცა გაქმთ იმის სიუვარულსკდა? მათომ შესწედ
უკეთეს ვის შეირთავს? კარგი შესაფურებუნია ხართ, ეს
ვიცი რომ ბატონს ერთისათჯს უნდაღა მისაფტამთ,
მაგრამ სოფიო არ ეთანხმა

ლეკან. ჩემს კელში სოფიო იქნება ბედნიერი და ერთს
მანერთისაგან გვედგმება საუკუნოდ ნეტარების ჩრდილი,
კარგათ შესმის ცოლი რაც არას გატისათჯს. ერთის მს-
რით დიდი უფელია... მაგრამ მეორეს მხრით გჯრგჯნია
ქრმისა.

ლაშუა. კარგი ქმარი რაღა გახლავით? ეს ცხადია რომ
ქმრისაგან დამდაბლდება ქალი და ქმრისაგანვე ამალღდება;
ესღა თქმწნა და ის ერთნი ხართ? რომელსაფტ ბატონი
ამლეგდა სოფიოსა? თქმწნი ცოლი და იმის ცოლიერ-
თათ ისსენება ქვეყანაში? ჩემწნ მოსამსახურები ხომ სულ
თქმწნა გნატრობთ. ვიცით თქმწნ სელში როგორც

გაქნებით.

ლევან. შართაღს აშბობ, გამოტყდილი კატო ხარ და უგულა კარგათ გესმის. ერთი შედინსას ის დღე, თორემ შევიტო როგორც საჩუქრებით გაგავსებ, შენ ეჭადე სოფიას ჩემსედ კარგათ ჩაგონო...

ლანუა. შობრძანდეს, მე ვიტო რასაც მოვასსენებ...

ლევან. დემერთმა გიშველოს პატარა გული დამამშვედ, მშველობით ახლაკი, ძომიკითხე...

(გზა და ლანუა უგან გაქვება)

გამოსკლა 4,

გასტანგ, სოფიო და სიღონია. დასდებინა.

გასტანგ. მოკნუტდი შვლო, მე როდიღა შევიძლიან აშ-
დნო სიარული და სტუმრობა და შენცა შვლო! დიდი
სიფრთხილდე გმართებს, ჯერ ეშაწლენარ და არ იტო გა-
სათხვარო ქალის მნიშვნელობა, რომ წაგიკითხავს: ბუ-
ძნებმა ტრადი ერთის ქალის გულისათვის როგორ
მიწასთან გაასწორეს? ამ დროში შენს ჩრდილსაცა უნ-
და ერიდებოდდე, შენი წინაპარნი განა მართლად სულელე-
ბი იყვნენ რომ შეკვტილებში ისხდნენ, ისინი შეუდ-
როებით, სასიამოვნოდ შესტროფოდენ ქმარსა და შვლს,
აგრეთვე სახლვარის მოვალეობას განაგებდნენ, ესლა სა-
დლა სტალიანთ, შექტევასა და ვეჩურებს ვერა რჩებთან,
ჩუში აზრი ეს არის, ქალი უნდა იყოს მშადი და წენა-
რი, ურდილობიანი მქტევი. . . მდიდრული ჩემადანუ-
რვა, დინსებას არ მოუმატებს კატსა. . . რაშდენიტ შვ-

ღო! მოწყალე იქნები და სიშდაბლით მოაქცევო, იმდენი
ნი მძალდები, რამდენიც ამხარტაჟნებს კელს მიტყოფ,
იმდენი დაეცემი; ასეა და ასეც ეოფილა, ღმერთმა შენგო
დაგიფაროს ცუდის თხსებისაგან! — უოველი კარგი ხსნი-
ათნი შენში არსებობენ, მაგრამ, შენი დარიგება მოვა-
ლუობაა ჩემი..

სოფიო. გმადლობ მაშავ, უოველი თქვენნი სიტუტა
ბეჭდება ჩემს გულში და არც გადავსტილდება თქვენს
დამოდევრებას, ვინა შეავს გულის დამწველი ქეტქანაზედ
თქვენს შეტი.

სიდონია. ვსთქვით რომ ჩვენს შინ დავსდეთ, ამით
ვის რა შეემატება, ესლა განა ის დრო არის რომ კი-
დეგ ფარდებ დაფარებულები ვისდეთ, წავიდა ის დრო,
ბეფიციებით დაკომრახვენ.

სოფიო. რადგან არა ჭსურთ, როგორ არ შემოდლიან
აღვასრულა ამათი ნება. შე დროს არ უეურებ, ვისაც
როგორ უყობს ისე მოაქცვა თუ გონიერება აქვს.

ვასტანგ შე შავ სიტყვამ მაიმედა ჩემის ფაქრების
გამოსტულებაში.

გამოსვლა 5.

ფინიკე და ლაშუა.

ლაშუა. ბატონო, ფერშალი გახლავთ.

ვასტანგ. ისიც ბიჭებს მიგზავნის უხარ შემოვიადეს.

(ლაშუა გავა.)

გამოსვლა 6.

(ივინიფე და სტეფანე ფერშალი შემოვა ქართული კახა ატვირთა მეტათ გრძელი. რომელიც არა ჭმუჭნის, რა-ღებან თუთონ სისინელი მისხელი და დაგრძელებული კახათა; მენდალიც გრძლიათ გუფსედა ჭკიდა; ამით თავს დაუგრამს და დადგება)

განტანგ. აა! შობანდი. ნეტა სხით დასდინარ რომ ჩუჭნის დაგვიწყო?

სტეფანე ფერშალი. ვა, რა შობანეთ ეტა, ღმერთი არ დამივიწყოებს, რომ მე თქუჭნ დაგვიწყოთ!

სოფიო. მაშ რას უნდა მივაჩუბოთ რომ შენ ერთი გვრა ჩუჭნისა აღარ მოხვდე.

სტეფანე ფერშალი. მოუტლელობას, სხუა რას.

სიდონია დინს. დიდკატუბში დაბანდება საეჭიშოთ, ჩუჭნთვს სხდა სცადიან.

სტეფანე ფერშალი. რას დამტინი! იმდენი ღმერთმა ჩემი თავი ატოცსლას, რამდენი დიდი კაცი, თქუჭნგან ნაქები ლეკრების კელალებული მე მომეჩინოს.

სოფიო. ამ შუათათ ბეკრნი გეკანან ავათ შეოთუბი?

სტეფანე ფერშალი. ვინ მოსთვლის! სხუა ანაიუოსრა ამოთნი წამლების სუიდეამ გამატყავა! გუშინაც ვიყიდე: ლადა, თახაშირი, ბორიო, რეკანდი, სრეკანდი და კარდ-ჭაჭის დასათხრელათ ქირთ კაცი გამოიგზავნია.

სიდონია. შადენი წამლები შმითის აფთიაქიღვან ინარჯება, სწორე მოგახსენო!

სტეფანე (წყენით) შითომ შენ რა გოანთ აფთიაქის

წამლები? აკათ-მეოფს ძალათ რომ ასუსტებს და სწეუ-
ლებას უშატებს? ბატონო! კარგათ მეოფს დალეკინეთ,
თუ აკათ არ გახადოს და მადა არ დაუგარგოს შე ტყავი
გაშაძრეთ, მაგრამ ჩემის წამლებითკი შაშინვე მოგაყუყუ-
თებ სოღმე და სედ მჭავე კვრინისის შეჭამადს ვაჭმევ,
უყურეთ ის როგორ მადას გაუსხნის: შერე თუნდა კლ-
დესედ აგორონ ფიჭვი აღარა აჭქს! .

(სტეფანეს მეტი ყველანი იტინიან).

ვასტანგ. ბარაქალა! ბარაქალა! წამლობის სელეკნებაში
ყველას შენ დაქვობინე და ბეკრს ფულებსაც შენ იშო-
გნი.

სტეფანე ფერშალი. რატომ არ ვიშოვი, შენი ჭირიშე
ნაშოვარს თაკადებსაკით დავაბნე და ან სადილ ვახშამ-
ზედ დავხარჯამ რასმე, აქეთ იჭით მიგონედავ. რომელი
სახლიდამატ დიდი ბოლი აშოდის, შეც იმას მიგაშურებ
და თუ აკათმეოფთან მიშინჭეკენ, მაშინ უყურეთ ნახეკარ
თუგინების გამოცდასა.

ვასტანგ. ავი გეუბნები, ჭკვიანი ხარ, ჭკვიანი!

სტეფანე ფერშალი. ბატონო! შითომ დამტინით? სწ-
ორე მოგახსენოთ, საქართუჭლოში, ესლას, ხალხს ჭკვა-
ფული ჭკონიათ; ვინაც ფული აჭქს დიდი კატიშელიც
ის არის, განათლებულიც, პატივ ტეშელიც. ღამაზიც და
ჭკვიანიც, შეც აი იმიტომ მიმიღებენ სოღმე რომ ვი-
ბეში ფულები მიხსრიალებენ. (დახინარუნებს)

(ვასტანგ. განკებ დამინებით) შავ ავრს უცნოთ მიშ-
ხვადარხარ, შენმა ვზევი!. მაგრამ სავჯრველია, შენ ისკი
აღარ მოგტონებია რატ უფრო პატივს მოგიმატებს სს-

ზოგადობაში.

სტეფანე ფერშალი. რა? აბა შიბძანეთ!

გახტანგ. თუ განდა რომ ვეტყვი მოგუმტას, სერს თუკი შეაკერუნა და ევროპულათ ჩაიფც კნლა რომელს ვქმნილა აცა ქართულათ? აბა იფქრე შამან შინა მცნობი დოხტურს ვილა მიიუწენს, სუფ ვუელგან შენ მთა ცწმკნ.

სტეფანე ფერშალი. (გახტანგთან ახლოს შივა სიაშოა ვნებოთ:) ოჭ. ეტ რა მითხარათ, მაგისტანა რჩევა თვის დღეში არავისთვს არ მაგიტიათ... რა მადლგულელი ვარ!.. შე დიდგვილთ, აქამდის როგორ არ მოგაკონდა?

გახტანგ შენ ესა თქვ რომ რაჩიგათა მოგინდება და ჩაგხატავს.

სტეფანე ფერშალი. ნეტავი აქამდის გეჩინავა, სეაღვე უნდა ვიუილო. მაგრამ ესეი შადონებს, მე რომ ბას-ტკობთან მაკიდე სასურთუკე მანდა შეოქა, იმათ მაღლიონერი გეგონები და რომ დირდეს ადღი მადღი თრ მანკათათ-თუმნათ დამიფსკებენ... რამთუნატ დრო მაღის, იმაუნდ უოგეჟიფერი დაამჯრეს ბატონო! სო მოგეხსენება რატ არის ამ სიძრის მარეში... შეტრუნა თითონ ადარა ჭადრულობს, რომ ფარჩა ჩამოიღოს და გავომოს: შეუტრუნას არეთინა დანუჭირია მოჯამაგირეთა და დონიჟ შემოყრილი უბძნებს: აი ეს ასია და არავინ შეგატდინოს, სწორეთ ასე უნდა გაუიდე. და თვითონი შესაქტე-ვლათ გასწევს! მაშინ, ის მოჯამაგირე ამასა ცდილობს, ადას სიის გვადობასუდ ფული ჩაბბაროს და თითონატ ადღში შაური შინც კიბეში დარჩეს; ალა კიდევ ამასა

ცდილობს, ისე ძუჭათ გააყიდონ რამე, არგონისა
 ვაშაგინსაც შიგ გაშოვიდეს, რატ ფუელი მიუტია ისიც
 სარგებლით გადაღვას და ცოლშეღაც აცხოვრებს. . ძერძე
 რეგორის ცხოვრებით!.. პეტრუსას ცოლს ჩადრის შა-
 გავრათ, წამოუჩხავს ოც თუძინიანი სალოთი, დაჯღანულა
 ქაშებს მავივრათ—ხუთ მანეთიანი ზღაღუხაშაშეები,
 და ჩეჭნვი გვეჯაჟენ. . რა ენელეუბათ!

გახტანგ ოღონდაც რომ მაგასვი არა ხუმრობ, ვისაც
 შეეყურება და არ შეეყურება ერთრიგათ მისდვენ ჩაცმა
 დახურვასა, მაგალითათ აი რეგორც შენც აპირებ.

სტეფანე ფერშალი. ეველა ჩემი რეგორც გაგიჯრდე-
 ბათ, ესღა ხომ გაიგეთ გლეხი და თავადი სულ გა-
 ასწორკისა. ვისაც შეძლება აქვს ქეჭუნაშაიც ის გამოა-
 ჩნდება პირველ კაცათ.

LL

გახტანგ არა ჩემო სტეფანე ებ მაგრე არ არის. შარს
 თაღია კაცს კაცთან ასწორებენ, თავადსაც და გლეხსაც
 შატრე იმას, რომელიც გამოვა ქუეჩანი მიიღებს სწავ-
 ლით განათლებას, შეიქნება მამულის სასარგებლოთ, მა-
 შინ ის კაცი უოველ მაღალ პირთან გასწორებული არის,
 ვინც უნდა იყოს.

LL

სტეფანე ფერშალი. იმდღეს გლეხები იყვნენ შეუჩილს
 ნი, ზოგი ქუდს მადლა ისროდა, ზოგი ტაშის ჭსტაშ-
 და, ზოგი ხარხარებდა, სინარულინსაგან აღარა გაგებო-
 დათარა, ეს არის ამისიქით თაგისფულები გიქნებიოთ. ერ-
 თი ამბობდა, ვისაც შინდა მოეჭკლამო, მეორე ამბობდა
 აბა ვაჟრს ესღა ამოვიყრი, სულ დაგანარელებ ისე გაგ-
 ქუჭდამო, შ.შინ რაღა ბატონს შეეგებებო, რაგი თა-

ვის-უფლება მოგვიცადა ხმას ვიღა გაბგეცემსო.

ვასტანტ. რას ღაშარაკობ. მარტლას ეგა ქტონით გლეგ-
სებს თაფისუფლება, რამ რატ უნდოდეთ ის მოასდინონ,
ას! რა უგუნურება არის. თავის დღეში უბატონონი არი-
ან, აი ფშაჟელნი, სეკსურნი, თუშნი და რაშენნი სსჟა-
ნი, მაგრამ ისინი დღეგანდღაშდის არაფრით არ არიან
ჩუტნის ემესვედ განათლებულნი, ღმერთს ენდუ ფულად
ბეჭდი აქუთ, საცხოვრებელიც, მაგრამ სად არის იშათთურ
სწავლა და ან მოხმარება, მოდით და კავკასიის მთა გე-
ლებთან განსწორეთ? რამ არ შეიძლება, ანუ არაბს სი-
შავე გამოუღვივეთ ბეჭდის პირის ბანით, და თუკი ავა-
საკობას გაბეჯვენ მთავრობა ვერ დასჯის.

სტუფანუ ფერშალი. მაშ საქმე მაგრავ? გასასრული
დადა აქეთ, მაშინ უკვლავ ბატონი იქნება იმითთურ.

ვასტანტ. გარწმუნებ ჩემო სტუფანუ სოგიერთი უღვ-
თო კაცი დახალშიაც არის და მადლშიაც, თორემ ბატ-
ონებს არა დაგვიშავობიარა გლესთათურ, უმამულასათურ
მამული მიგვიცია ჩუტნი სისხლით ნაშოვნი, უწინ ჩანის
და ჯამაგობის მაგვრათ მამულები გვეძლედა განა
არ იცო, აგრეთვე ვინც თბოლ-ოხური გვეოლია შუღი-
ვით აღვიკონდა და არაფრითვე მრუნველობა არა ქქალ
ნიათ ისე დაგვისახლებია, ჩუტნი ცხოვრება კელში უჭს
იჩავთ, რასაც უნდათ იმას გვასმევენ და გეჭმევენ; რატ
გარგია პირველათ თუთან დაძლებიან, ახა შითხარ ჩუტნი
სელში რა აკლიათ.

სტუფანუ ფერშალი. მართლსა ბძანებთ ჭკუშარიტათ,
მაგრამ ესლავი სულ გადაირიენენ (სასოგადლებიასკენ) არ

იქნა? თუ ან ვიყიდა სერთუგი ჩემთვის ძალიან ძნელაა. სწორეთ რომ ევროპიული ჩაცმა ახრუს გამაგებებს და საქმესაც მომიმატებენ, მაშინ დიდი შატვი დაშელება, მოდი შუა ბაზარში ჩავალ, ბაღდასარას დალაღს იმის-თანა ძველი სერთუგები უკიდია უკეთესი აღარ უნდა, ცოტა დაკვრებაკი მოუნდება, მაგრამ, რაუშავს! ჩინებუს ღია! იმას ვიყიდი. (შიშობრუნდება ვანტანგს) მშჯღთბით ახლავი გიანლებით

ვანტანგ. რას მიეშურები, აღარა იტირა?

სტეფანე ფერშალი. ავამე უფები შევანან. (თავს დას უგრამს და გავა)

ვანტანგ. ამ ფერშლის ღაბარაკმა სრულებით გადამა ვიწყა, წავიდე ჩემს ოთახში წიგნები მაქვს დასაწერი. (გავა)

გამოსვლა 7.

ივინივე და ფილიხანა. (კაბა უჭ. რავს კელში)

ფილიხანა (სოფიას)

აბა რეგორ გახლამთ შევერდი, ცოტალა აკლია..

სოფია. (გაშინჯავს კაბასა). უცხოთ აჩის დედამჯღ-ობამ, საგანგებოთ შეგიკრავს ემანდ ჩამოჯექ და გამო-ათავე.

ფილიხანა (ტასტზედ ჩამოჯდება და კვრავს დაუწყებს.)

ივინივე და ღაბუა.

ღაბუა. ბატონის ქაღალ, აქ მობმანდით რა მოგასწინოთ. (კარბისაქენვე გასწევს სოფიო თან გაქყება.)

სიღონის. ნეტა რა საქმე გამოსჩენია? ჩუქნათანგი ვერ
ეტყუადა, სწორე ოინები ხართ ეს მოსამსახურები.

ზიღისხანა. რატომ იტი ქალა შენ მაგისთანა ღანაჩას
კო, ოინები რაში ვიქნებით.

სიღონის. მამ რას გაიყენა ჩუქნულითა, მითომ სოა
ფოო შევი დამომალამს რასმე? ესლავ წავალ და გავიგებ.

(გაკა)

ზიღისხანა (მარტო). რა შუბინანია ეს ქალი, დასწევს
ვლას დმერთმა ამისი აქ შამასკელის გზა. (იქით სან-
ღში ეძახის) ქეთუა! ქეთუა! გოგო! აქ შემოიტანე ეგ
სარკესი და აი სტოლსე ფაქისათ დაუთოვე.

გამოსულა მ.

ქეთუა. (სუჭრგზედ თეთრი შეწრით სარკესი ჭკილია,
ცალს ხელში უთო უჭირავს, სტოლსედ გაშლის სარკეს
ცხსა და აუთოვებს.) აქ რაღას შამამასადვიანე, იქვი ვერ
დავაუთუებდი?

ზიღისხანა. წელი ხომ არ მოგწედა, მითომ რა ღაგი
შეგდა?

ქეთუა. შენ ახა რა გენაღვლეხა. გამიგამდეფდი. აღარას
გადრეულაბ ცარიელი ვლანკა არის შენა საქმე.

ზიღისხანა. მობძნდი შენ ეს შევერე და შუამაგარ დას
გაუთოებ, ეგ უფრო ადვილია, მაგრამ ენა შუტი გაქმს
სულ ირუშსები და აცტარა წმინდა საქმე გვლიდან გას
მოგიკა.

ქეთუა. აი გაქრეს რომ ჩემი გაკეთებული საქმე შენ დაიწუნო.

გამოსვლა 9.

ივინივე და ანდრია.

ანდრია. (შეშოვა შებილი წესში მოჭყაყეს და სწმენდს; თან ქეთუას ელაპარაკება)

გოგოჯან რას აუთოაკებ?

ქეთუა. თვალები არა გაქრეს რაც არის?

ანდრია. მაგის დაუთოებას გაუწითლებინად თუ ჩემს დანახვას?

ქეთუა. შენ დანახვას, შენმა სიტოტსლემ!.. დღეს ერთი საპაფხე სარეცხი დამირეცხია და წყალს გატყულებს უნდაო, იმისთვის მაინც მაშეშველებოდი

ანდრია. მერმე, მეტაღა, სულელო! კვად დანახე რა დრომდის სახლი სტუმრებით საკსეიყო და ამათ სამსახურს უნდებოდი.

(ქეთუა წერომით.) ნეტა რისთვის მოხირბუღიყუნენ? ჩუქნი რჯახი სტუმრებისგან არის შექმული ამოენი სამსახურით სიტოტსლე გამოგვეტაღა, ნეტა, რისთვის? მითომ შადლობელი ვინ არის?

ზილიხანა. ზოგი ღუთის კენაო და ზოგი კშაკებისკ კენაო აბა რა დიდი ვაფთა გაქთ რომ მაგას ანობო შენი სამსახური ეს არის ათაში ერთხელ სარეცხს გატყუემ და სახლს ჩამოგვი.

ქეთუა. მითომ ვლანკის მეტს შენ რადას აკეთებ?

ზილიხანა. მე? მე არ ვაბანინებ ჰირს სოფიოსა, მე

არ ვემსახურები მამ კინა?

ანდრია. რა განხუბებთ, რა ჩემსავით ჩაის გაკეთებთ
გადაგულევით ხალხე გული,

ქეთუა. ჩაის გაკეთება დიდი რამ არარის.

ანდრია. ახლა სადღეს რომ მიკართმეკ, რამდენი ხანი
კვდებარ ფესხედა?

ქეთუა. განა მარტო შენა ხარ? ათი ბჭი გღია და
სხუბას რას აკეთებენ, ღაზუას ხომ ბატონი არტვი იშო-
რებს.

ზილიხენა განრმდით, არც ერის დიდი ჯაფა არა შოა
გდითრა ამ ხხელში.

ქეთუა. აგი გითხარ შენც გამდლოხბარა ჩემულობ. იმა
საგით ექამტეკი ბატონებსა, ამისი არ იყოთ რაგა გაა-
ნხლდობა ბატონების გამართლებას შოჭუქნება: მალმალ
გვეტყვის (გბაძვს გამდელს) წუგია გოტეკის ძვლკოთა
გზრდთან, უსრესეკლათ გინახენ, რა ჯაფა გქეთ, მათ
ბელში. ქმარ ძვლ რამ გეოლოდათ, მარტო შენის
ტხობა, გუთხის ჯერის სდვა და სიღარბე დატხაკმ-
დათოთ მე რა შუა თუ ჯაფა შექსება და ჩქა ქმარმ-
დის: თვს უკვლას აკოტნდა, მტრამ უხლა უხენა რამე
ჭრებთან. დუშინაა აერთეკლება არა ხართო — უწინ
ჩუქნ, მაგრე არ ვუგოთო. . თითონ დაბერებულა და
თავის უმწვლობავი დარ ატონდებ — ბჭა აბა რამდენს
ჯერ გხახითი თქუბინას ნაღაპრაკევი რომ დაუნახვარ,
მაძინვე ჯანდრის ხით მიუტუქვიგა; ქოყაჰმა ათას სას
ირი სხელი დახრქო: «გუტკეკ, აქრის თავა, გახწეა,
ეკვლა მე გავხლი იმის კვლში! . .

ზილიხანა. მითომ შენ ითაკილე მე უფრო არ შეძა-
ხლდა: თუ შეფაღანგა, ტუჩ მურა და ვინ მოსთვლის რამ-
დენს ნაირ სახელი გამომატვალა: თუ ქრისტიანი ხართ
ესლა მე რაღათ შეკადრება ეს სახელები?—ეგ რომ არ
იყოს გამდღის ადგილი ჩემის. . . სოფიო განა მართა
და მაგის გასდღილია, მე გაკსანდე და იმისთვისაც არის
ანგელოზიგით მშუდი; იმისგანგი სიანხლის მეტს რას
ისწავლიდა?

ქეთუა. გარკი ქრთი, არც შენა ხარ ქრისტიანი. ღა-
მის ესლავ დაგვჭამო.

ზილიხანა. შენ ვაღას რას აკლებ.

ანდრია. გოგო! აის გარკბში ვინ არის?

ქეთუა აბა ვინა?

ზილიხანა. ისა? სიღონისა ჭტავს.

ქეთუა გაი საქმი იქნება ის იყოს უუჩის გდებაც იტის
მერე წაა დაჭკეჩავს და ბატონებს მიუტანს, ღვარძლია-
ნობის მეტი რა გამოსდის კელიდანა.

ზილიხანა წადან მე შეუბნებოდა ერთი ახალი ანბავი
ვინი და რას მომეცემ რომ განაროყო, მე მითომ არც
გი გამოგონია მეტქი აღარა დაკეკითხე.

ანდრია. ეჭუ—ერთობათ მართლა ჟერ ამათ არა გა-
უგათრა, მეც რომ დამეგწედა.

ზილიხანა. რა მომხდრა თუ დმეერთი ტწამს?

• ქეთუა. აბა რა იქნება ჩუჭნთხს სასიამოვნო.

ანდრია. სწორეთ თქუჭნთხს და ყოველ გლეხკაცისათხს
სასიამოვნო ამბავი.

ზილიხანა. (განსაკუთრების ყურადღებთ და სურვილ-

თ ამბის შეტეობისა).

მამიშენის ცხონებას, ჩქარა სთქვი თუ კარგი რამ იცი. ანდრია (ღიმილით). ქეთუამ სამახარობლო შოშტეა, ან შემეხვეწოს და ვიტყვ.

ზილისანა. კარგია, გული ნუ გამიწვრილდუ, თქუ რასაც ამბობ.

ქეთუა. ჯანი გაგვარდეს! აჯუ გესვეწებო თქუ!

ანდრია (სიამოვნებით და საიდუმლოებით.) დაღას ბატონთან რომ სტუმრები იყვნენ, ეს ლაშარაგი ჭქონდათ. კელშიიფეს უბძანებაა; ა რატ თავადიშვლებს ყმბოა ჭყუთ, სულ გამინთავისუფლებიაო. . ამბობენ, კელშიიფის სიტყვა არ დაიწვრილაო.

ზილისანა. როგორა? განშითავისუფლებიაო? . . აბა, დაიფურე, რომ ეტ მართალი იყოს!

ქეთუა. მამიშენის ცხონებას მართლა? ოჯ ღმერთო რა სასიით მამა, შენმა მყემ ხვალეუ ფესშიაშველა ფესით კელსაებს შემოვიფელი და ისე შევეხვეწები რომ აღარ გაშტეუნდეს ეს ხმა.

ანდრია. ენკენიაობას კიდევ გამოგვიცხადებენ. ჭაიფი-დი! მამან ყველა გოგოები განკალთ, მადრამ, ჭაი ჩემი ბრალი! რამდენი შემეცდილება შენს თავს! მადი, თუ ღმერთი გწამს პირებს ესევე შოშეტ სამახარობლოშია.

ქეთუა. შენის თავის ხეთქამ, რაც მე შენ შეგირთო! სოგი ჩემს ლაშუასა ჭკითხუ!

ანდრია (თავის ქნევით) ბუბრუხანას? მამინ ნახე ხანჯვლის ტრიალი! . .

ქეთუა. ო. . ო. . ოი! (ქოქოლას აყრის ანდრიას),

მეხიკი დაგეტყვას, რომ შენი ხანჯლისა აჩუქებოდას!..

ანდრია. ის აი შილისანამ შეიძლოს, ამას უფრო ბევრი ფულები აქვს; ქალბატონი რომ გარდაიცვალა, სხვა მუხსლებს იმთენი ფულს ვერ დაუშალავთ რაფ ამას, გასა დაწუნებს რაუშავს თუ კბილები აკლია.

შილისანა. ნეტა რას როცამ, შენ ჩემს კბილებს რასა სწვდები, რომ გაიგონოს ვინმე მართალი ეგონება ფულები დამალავ «თუ ფული მქვს მე ჩემი ჭკუათა მას ქვს ვის რა უნდა.

ანდრია. ფერშალმაკი ცოტა მოგტყა?

შილისანა. დემეტო ჩემო შენ რა, გაგონალა?

ქეთოა (უთონს სარტყხსედ დადებულს თავს დაანებებს და სინარულით ულაშარაკება)

ჭე! კარგათ მოუვიდათ შოგიერთთ ქალბატონებს! რაგი დასხდებოდნენ ცხვრ წინვე რომ წყალი სდგმოდათ, თუნდ რომ დამღრჩვალეყენენ სომ აღარ გაინძროდნენ და გაჭყროდნენ; (გამოჟვარებით) გოგო, გოგო! შენ, ეი, არ გესმით? მოდით ეს წყალი მომწოდეთ. . . არა, შენი ჭირიშე აშდენს ყვრილს, ადგუს და თითონ დასლიოს ის, არა სჯობს? მოაკლდებათ ამას იქით ეს ამბავი, მოაკლდებათ.

შილისანა, მოქალაქებს ყმებიკი არა ჭყავთ მაგრამ მოჟვარები უჭირამთ, ესენიღო ისე ჟვარებით დაიჭერენ.

ქეთოა. მერე ვის იშოვნიან? დაუდგებათ ვინმე? თავის უმშიად არა? ლუკმას ვითხოვ და ისე ვსჭამ აჩუქებოდა კემუხსლები.

ანდრია. თუ ჩემს კელში ჩაკარდი მე ვიცი როგორც

შეგინახნაში (სახეგადგობისაკენ) თქუნიან: ვინუა აქ ზეგონა
უნითა ძღუბა და შე მჭადისც ძღვის უშოგნა.

ქეთუა. ვაი თუ ქმარც ამისთანა მძებუდეს. რომ თითო
კეტს მამტვრეკედეს! დაწვევლათ ღმერთმა გლეხ კაცის
ცოლთან აღერსი — ცემა ტემა არის.

ზილიხანა. მისთანას რადი შევიერთებ

ქეთუა. (დახედავს რომ უთო სარეცხედ დაწვებია
და შეჭკივლებს.) უა! უა! სულ დამწარა, გაგწერა ღმე-
რთი ანდრიაკ! ახი არარის ეს უთო თვეში დაგარტუა.

ანდრია ჩემ რა ბრალა? შენ სიამოვნებაგან კვლარა
გაიგერა და ან რაღას უფოხნაღებო? — დახვე და ერთს
კუნსკულში მიგდე.

ქეთუა. მაშკელეთ წამოკრიფეთ, ჩქარა გავიტანათ არ-
ავის შემოკვსწროს.

(ქეთუა და ზილიხანა სარეცხს გაიტანენ, ანდრია სკაპ
შუბს ასწორებს.)

გამოსულა 10.

(შეორეს ოთახიდან შემოდის: ვასტანგ და ზაალ და-
ზარაკით, ამათ შემოსვლაზედ ანდრია ტავა.)

ზაალ. მის მოგახსენებდით... თქუნიან ნუ მომიკუჭდეს
ბით, საგურგული დრო შეგვქნა; რაც უნდა მახლობელი
ნათესავი ჭეუანდეს კაცს, რაც უნდა შეგობარი ეგონოს,
არ შეიძლება, რომ ნამდვილი ერთგულებელა ახლოს
კაცმა იმაში.

ვასტანგ. სადღას შეგობრული სიყუარული, ის წმინდა

გრძნობა, შეურყეველი სინიღისი და შტეიტე სარწმუნე-
ება, რატ იუო უწინ? შეორეც ესა უხლას ასე გადავა სხტეს
ქუნაში ჩტწნი მესობელი რომ, სუთი წელნიდა, გვირს
დით მესობლათ გვდგომას და ცნობაც არა გვაქქს იმისი.

cc

ზაღ მართალია ჭეშმარიტათ? განა არ განსივს, არა
თუ ნათესაობ: ში, მესობლებშია. ისეთი ტკბილი სია
უწარგელი და ერთობა იუო სოღმე უწინ რომ, ესდა დას
ძმობაშია. მსუღთ ნახეს გაცა, ამ გვარს გრძნობას და
გრძნობას.

X
→

განტანგ შე დალოცვილთ! საღ იუო ამოენი მოთქმა
მოთქმა. ცილის წაშება, განკიცხვა; შეტათ ცუდი შირი
აქტე სოგი ერთთ. და ერთის ცილის შირისაგან ათასი
იღუპება. თუ შტრობათ ერთმა შირიგონა რამე შეორეს
დესე მთელი ქეტქანა ამას გაცონილოკი აღარ ამბობს
სწორკო ასე მოძღვარა ჩეტწს ს თტ დითა განხეთთა უს
წინ შირთადს დაწნაშეკვრაც კალთას დააყარებდნენ, იმ
შას ვან გაცონებდა იმის ნათესავთა. მ გრამ ესდა ეს
და მქს შვლესკად ლაშარეგე შირდ-შირ გაცონებენ.

ზაღ რავიცა იქტწსა ჭარბეთ. შე ამ დროსი არა
მესმის რა მივლებთ განარდეთ. განათლეთ მაშინ იქნებით
ბედნიერნიოთ მგასა ჭინჯულობეს! არ შტეიტე თაღეთა, ამით
სხასს თარბემი, უნდა ჩაკვარონა ჩეტწსა მაშელთ გვო
ფვარსოთ ეს მაშელის შერევა ს. უწე რუღია? საქართვლს
ლომა თაქის ვამში არა უოფულა ეს ამბავი

განტანგ თქეტწს ეს ბძანოთ. უშწულური მხარულეობაც
რომ აღარ მოხდეთ? ფუქრით თავს იტლექებენ. რატ უ-
ვრთაში გვიანხვს, რატომ ის ცნობრება არა გვაქქსოთ,

cc
—

20

ახს ჩუქნ სიმდიდრით სად დაუკადრებოთ იმით, ევროპ-
 იელების შიბაძვა რას გამოგვადგება. დავიდუშენით, უწ-
 ინ ჩუქნ რამე ყოველდღე ობუკაში ან დაუდიოდით, სს-
 დაც წივილისა და კივილის შეტი ანა გვესმისრა, მათ-
 რამ რა გვიჭირდა?..

სააღ. ვალებიც იმიტომ განშირდა, უწინ ოცი თუმანი
 ვალი რამ ჩუქნ-განსა ჭმარებოდა საყვედურით ჩაჭ-
 ვალებით; ესლა იღებენ ვალებს და თუ ვაფს ან ანდო-
 ბენ გაშლავით მამა შაშუელი თოფიანადი და ავირავ-
 ბენ.. მერმე ვილა დახსნის:—იკარგება.. გახსოვთ? უ-
 წინ ჩუქნ-განს ფული რამე გასჭირებოდა, შაშინვე ნათ-
 ესავი ანუ მეგობარი, სიამოვნებით კელს გაგვიმართაშდა:
 ერთი შატისანი სიტუა, შალატაში დამტვიტებულს
 ბარათს გარდაემატებოდა; რამეღიც ესლა იმ დამტვიტ-
 ებელის დავს ათი წელიწადი უგან სდევენ, უწინგი თავ-
 ის უაულზედვე მიუტანდით. შატრანს დიდის მადლობით
 და სარკებლით თავის ფულსა.

ვასტანგ. ათასი რამ შემოიღეს ოჯახის დასაღუჭავი
 და შე ვთვიქრობ უზირობაც იმისთვის თუ განშირდა? იმდ-
 ღეს ერთს ჩემს მეგობართან ვიყავ შევხედე ოთახში იმ-
 ის შვლი საბან წახურული უმრავათა დევს კვითხე რა
 ვშინუცება მეტა? მიზასუხა რა ვიცი მე შენტიისთვის გა-
 ვგზავნე მისატანათ და ვთვიქრობ უთუოთ ის ფული წა-
 უგია და ტუუვილათ იმინუცებს გამაცრიაო მერმე დაუ-
 ძახა: შვლო ოღონდ ნუ დაიღრჩობი და თუ წავიგია
 შენი ჭირის სანატლო იყოს: რამ დახსნო შაშინ უფ-
 რო ბეჭდი ან დამაკლდებოაო ჩუქნ გარეთ გამოკედით

და ისიც მაშინვე წამომდგარიყო.

ზაალ. რამდენი ოჯახი დაიღუპა ქალაქის თამაშობით. დიდა უბედურება!

ვახტანგ. ამ ღაბაჩაკს თავი დაგანებოთ, რაკქნა ძმად რომ შენს არჩეულს საქმედად თანახმა არა ხდება ჩემი სოფიო.

ზაალ. რატომ? იმასევე უკეთესი ვილა არის, როგორც შენს ოჯახს შეეფერება სწორეთ მე იმისთანა გაშლად გიჩინებო და უარცა თქვა?

ვახტანგ. ყოველს ფერში შემოიხილება ჩემი ქალი, მაგრამ როდესაც ამ სიგანსევე ღაბაჩაკი დაჟწეე ისეთის სიტუატიით დამიძღვია და ისეთის სახით გამოიხატა ცოლ ქმობის შეუღლებით ბედნიერება და უბედურება, რომ სიტუატი გამაწვევტინა და ძალა ველარ დაჯატანე.

ზაალ. თქვენს ნებაა, მაგრამ არა მგონია უკეთესი იშოვნოთ.

ვახტანგ. ერთი ეს მითხარ, შენი ახრათ ღუკან როგორც რომ უნდა იყო, თუმცა მე ამთენი ხანია გარეგნათ ვინც მამრამ რა ვინცა შანაური ხანიათებისა, ესეც უნდა გითხრა, რომ სოფიოს როგორცც ვატეობ ის მოსწონს.

ზაალ. რადგან შიგრება, მამ ცხადია უყვარს და უარცა იმისთვის უთქვამს, ამ დროს მიხედვით ვიწვლი ვინცა ვარცა, მაგრამ თქვენს ოჯახში გამოდგება თუ არა ესეც არვიცი. მეტათა ფრანტობს. და რომელსაც მე გიჩინებო დით ის ვარცათ ვინცა თქვენს შინ გასდელი ხანიათის ვინცა არის.

გამოსვლა 11.

ივინიკე და სტეფანე ფერშალი.

(შემოდის სეროჟე ჩატრული, ელსეჲ მანჯატები ზუგრაჲს, ჯოხი უჭირავს კელში; ილიაში კარბადინი აქვს, თაჲსედ ძველი მადალი შლაჲკა ჭხურავს; რა შემოგა ქუდას მოუხდის ვახტანგსა და ზაალს თაჲს დაოგრაჲს)

ვახტანგ. (აღნიშნით შეჭყურებს სტეფანეს)

ქს ვინ არის?

სტეფანე ფერშალი. მე განლაჲრთ — სტეფანე. ველარ მიტანიოთ?

(ვახტანგ და ზაალ დაატყუდებიან სტეფანეს და ერთათ იტყუან:) სწორეთ, ის არის სხ... სხ... სხ...

სტეფანე ფერშალი. (ერთთმ წყნით)

რა არის, რას მიუუტებთ, ვინ გებოქოთ? გაიტანეთ, გაიტინეთ.

ვახტანგ ჩემს რჩევას გაუტრია: რა განსოცრათა ჭმუკენი, როგორ არ მიამოს.

სტეფანე ფერშალი. მართლად მოგწონთ ჩემი ტანისა-მოსა? უნდა იტოდეოთ რომ მოელი ქუჭრანა არის და მე.

ზაალ. (ღიმილით) განა თქუჭრნ უჩჩივეთ სეროჟის ჩატრე? უტნოთ უხდება სწორე შოგასიენო.

სტეფანე (ვახტანგს დაუხსლოვდება თან კელით ანიშნებს კარბადინს და ეუბნება:)

ჯანოზ აქამი ჭხწერს, აა, აა, წარჩანკუელს კარბადინში: «რადკაც დიდი კატის სახლში შეხკიდე, ზარგელად მაჲვას მიესაღამეო» (მაჲვასუდ ჭკოდებს კელს) რამეთუ

მაჟათ სცხოვრებს ყოველი მამაკუდავი კაციც. (სასოგას
დოკებისკენ) რა ვსთქვ და! ეს გოგრა რას აჩ იტყვის!..

გ. მოსვლა 12.

იგინიკე, სოფიო და სიღონია.

(ფერშალს ჯერ დაატყურობიან და როდესაც იცნობენ)
სა . . . სა . . . სა!. დოკტორს სტეფანეს განსაჯათ!..

სტეფანე ფერშალი ძალიანკი იამით და ჩემი დანახვა!
სოფიო. თქუტსმა მცემ უწყალოთ მომთუღა ჩუტსნი
სტეფანე.

სიღონია. გარგი მოართვა კი არის ძველ ძეღის ჩანა!
გახტანგ. ჩუტსნი ზიღისხანს მომთუაა, აბა წადი დან-
ახვე როგორ მოქონები.

სტეფანე ფერშალი. რათ მინდა თქუტსნი ზიღისხან...
უური დამიგდით იმასედ რა ლექსი დამიწერია. (ამღერის
და თან კელებსა შღას)

ხსოვნა მისი შეშეცვალა სამეფველ,
რადგანც იყო მუსხანათად საგულველ,
სოფუნარელი აღნთებული გამქალად,
არის გულსა მინელებულად ნავლად;
მარტოდ შეოფსა ფიქრები თუ შავონებს,
განვიფანტავ. ვიდრეშღის მე შიღონებს,
ოკვანებრ მრისხანების ღრიალით,
გულს განვიშობ და განგავებ მე ამით....

(ერთობ აქ შეოფსი იღინიან) სა! . . . სა! . . . სა! . . .
გარგათა სოქვ, ზარაქლად.

სტეფანე ფერშალი. მაშ რა გეგონათ? — მე გარ რად

ვაჩ! გუუსებით შეთქი.

სოფიო. ოღონდაც და ხარ, აბა ამისთანა ლექსს ვინ დასწერს.

ვანტანგ (დაცინებით.) თავის დაწერილი არ არის თქუტნმა მსემ! სხვს ნათქვამი დაესწავლია.

გამოსვლა 15.

იგინივე და ლანუა (შემოვა, თავს დაუკრამს და სტეფანეს მთასსენებს.)

ლანუა. აქიმბაშს გაუმარჯოს, ექიმდის თქუტნს გეკუბდით, ღმერთმა გიშველეს აქ დამსკლი.

(სტეფანეს მითომ არ გაუგონია, ზურგს შემოაქცევს და სასოგადობებს) აი, თუ, პატრივი არ მომამტა? ვინც კი მიუერებს ჯერ მოწიწებით თავს დამიკრამს, მერე მხიარულად შემომტინის და მეუბნება, აქიმბაშს გაუმარჯოს აქიმდის ზედაც არავინ მიუერებდა

ლანუა. აქიმბაშთ თქუტნს მოგახსენებთ, ძმა ძალიან ავთა მუავს და შენი ჭირივე წამოხმანდა

სტეფანე იერშალი. არა, მე ესლა დაბად ხალხში აღარ დაუღივარ, ვინც გინდა წაიყვანე. დასწევვლა ღმერთმა ერთი დიდი კატი აღარაუნ გახდა ავთი. რომ მივეწვი

ვანტანგ. წადი ავთმეოფი არ არის, რადსა ნახობ, დიდკატებს რას გვემართლება.

სტეფანე იერშალი. ბატონო ასეა ნათქვამი, თუ ერთი არ მოგუდა, მეორემ ვერ გაინარსო.

სიღონია, (ჩაილაპარაკებს მორიდებით.) ჭია თუ მარს თალი სოქუ!

ლაზუა. ბატონო თქვენსა ჭირიმე თქვენს უბძასეთ წა-
მომეყვას, ძალიან შეწუხებულა გახლამთ ჩემი ძმა თქვენს-
ნმა მსკემა.

გასტანგ (წუენით) მართლა ამბობ? რათ არის ავითა?
ჭარბათ მოუარკეთ, უბრალო არა დააღუეინოთარა ფერშა-
ლიც წაიფვანე უარს როგორ იტყვს.

სტეფანე ფერშალი- არა! ბატონო, თქვენსმა მსკე
მე ვერ წავად, ამ ტანისამოსით მჭკარტლიან სახლში
როგორ შევიდვი, სულ გამიფუჭდება, ცოტა ფულიკი არ
დამხარჯვას.

გასტანგ. რას როტამ, ჩვენსა პატრივისცემა ტანისა-
მოსშია დავიკარგვას?

სოფიო. მადლია შენი სეულისათვის: გაჭყე, უწამლე,
ერთ სერთუკს მე გიუადი.

გასტანგ. შენ გასამჯელოს მე მოგცემ, ჩქარა წადი
და რიგინათ უწამლე.

ლაზუა აი ფულს ესლავ მოგცემ, წამობძანდი (იღებს
ჭიბიდან და აძლევს.)

სტეფანე ფერშალი. (გაიღიმიღებს, ასე რომ შეამც-
ნოან ღიმილი, დად გულათ გაივლის და გამოავლის კე-
ლის ქიკვით)

არა, მე ფულს არ ვიღებ! (თან კელს უჭნ იშკერს.)

ლაზუა. (კელში ფულს ჩაუღებს) ბატონის პატრივის-
ცემისათვის დახედე სხეულს.

სტეფანე ფერშალი. (ჩუმ-ჩუმათ ჯიბეში ფულს ჩაიღებს.)

ზაად. განა ჯანავოზ აქიმი მაგრე სწერს? . ვერ ფუ-
ლი გამოართვიო? .

სტეფანე ფერშალი. ეს შეუბრუნებია, მაგრამ კნაასის ხაირს რა უყო!

ლანუა. კარგია ექიმბაშო, შენი ჭირიმი, ნუღარა ტრიალებ.

სტეფანე ფერშალი. ასე გგონია, შენ ვინც უბრალო ფერშლები გინახავს, მე იმათი ამხანაგი ვიყო?

ლანუა. ეგ ვის გგონებს. განა არ ვინც შენი ღირსება.

სტეფანე ფერშალი. ჩემის ექიმობის შოკალეობას უნდა დავმორჩილდე, თორემ გამოგვევობადი? (მიუბრუნდება) ბატონებო, აბა იქნენ ესა თაკი როგორ დავა-ნებოთ?

ზაალ. ჩვენთან ბოდიში სჭირდება არ არის აღიარებ-
წადი.

(სტეფანე ფერშალი გავა და ლანუა თან გაქეცება.)

ვასტანგ. სასაცილოა მაგის საქმე, შენ ნუ მომიკვდებ-
ბი! . სოფიო, უბანს ჩაი შექარიც ვაატანონ.

(სოფიო გავა).

ზაალ. როდესაც ჩემი უმეები ავით გახდებთან, მაშინვე-
მე შეშატეობინებენ, მაკალ და რაც სჭირდება მოითხოვს
შევატანინებ, მანამ უგეთობას არ დავატეობ თავს ვერ
დავანებებ სოფიე.

ვასტანგ. რა მაგ სიტყვებს მასუხია და წყლანდელს ღა-
მანაკს შესრულება უნდა მაგსტეო, წავადეთ ჩემს ოთახში
გიდუე რა გიამბოთ. (ვასტანგ და ზაალ გაუქან.)

სადონია. ოხ! ძღვეს ერთი თავისუფლათ არ ამოვი-
სუნთქე! . აბა, ვნახო, კარებთან ხომ არავინ არის.

(გაივლის კარებისაკენ და ისევ მობრუნდება.)

საკურველია კაცის ცხოვრება! როდესაც რომ კაცს

სევდა აწვი, მარტოდა როგორღაც შემსუბუქებს ამა
ღვეს. რაც ისინი გავიდნენ აი, თითქმის რაღაც მომეშო-
ვა მხრებიდგანა, რა ჰქვავს ამ ჩემს ვუღს? რათა მომ-
დას ასე ხშირათ ახვრავ? რა არას მიზნისა ჩემს სანთ-
დავის თავის მწესარებისა? აჰ! გამოთქმა სძნელთა, წყე-
უღი იუოს ის დღე, როდესაც მე ამ სახელში შემოვსდგი
ფესა! . . მართალია, მე მაშინ ვიუჯ გლახავი, დურღო-
მილი და ყოველის კერძითა უნუგეშო; მართალია, ღვე-
ხურის მოსახოვებლად კარდაკარ დუჭტანტალებდი, მაგ-
რამ მე მაშინ ვიუჯ უტრმს-სიკლი ტუჭა უმაწვლი . .
ამ კარდაკარ სიარულში, შემხვდა ეს სახელი, როდესაც
კეთილის დამილით მიმიღო შუღივით სოფიოს დედა.
ესკი არ ვიცი სასრულყოფით, თუ მოწინებოთ და შით-
ხრავ: გულახავო! მოდი, დანახუ თავი მათხიკრობას, და
მე შეგისახამ, ადგსდი შუღივითა, სოფიოს ხადღეგრ-
ძელთა, შემდგომ გაგათხიკრობოთ მე რომ იმის სიტყუ-
ბი გავიგონე, ისე მიმიზიადეს რომ ამე წამს გადავგდე
ჩემი საგლახავო ხარკი და შემოვჭეე განსვენებულს, მაგ-
რამ ჩემდა საუბედუროდ არ გვიდა არი წელაწადი რომ
ტრუ სოფელმა მომაკლო იმის მიკრეკლობას, თუშტა
განტანტიც შუღში არ მარჩევს ქალთან, აღმსრდა და
სოფიოს სომ განუსაზღვრელად უეგარგარ როგორც ღვი-
მელი და, აქ მხოლოთ მოსამსახურებს გვევარკები, მაგრამ
ამათ რას დავსდეგდი! რაც შეეხებოდა კაცის ცხოვრებას
აქამდის ყოველით კერძო ბედნიერად ვსახამდი ჩემს
თავს, მაგრამ ესელ ასე შემეტკვალა გული, და უფრო
ბედნიერად დავსახავდი ჩემს თავს, რომ ისევე იმ სიგ-

დასაკეში ყოფილაყო ჩემი ცხოვრება. . . ესღა რა უნდა ვქნა? შურა უნდა ვაძიო ჩემს შოკინანსულებზედ? სოფიოს უყურს ლევან და შეირთავს კიდეც, მაგრამ ეს სასიკეთ-დინო გულისც რომ იმას ეშინება? აჰ, ღმერთო! რის-თვის დაიკაწყო ჩემს გულმა კეოილი და კეთილის მყოფი? ეს ამასთვის განა, რომ ბუნება გაცისა რადგან შირველადვე ამოებავს დაემორჩილა, და იმას შემდეგ ყოველნი შირნი ერთის ძალითა ვჭკვნესით? თუ გაცო მამან დარჩნენილიყო უბრალოებაში, რასაკარგელოა ბოლოც მითვე გათავადობდა, — ესღა სიუჟარულს უნდა შეესწავრო ყოველივე, სიუჟარული მეტობს და ემორჩილება ამოებავს, მაშ დღეიდგან ყოველის გნათ უნდა ვეცადო. რომ მთავანდინო ლევანსა და სოფიოში სიმძულვარე; ერთს სიატყვით განვაშორო როგორმე ერთმანეთსა...

გამოსულა 14.

გიორგი და გიორგი. (შეშვება და სიღონისა თვის დაუკრავს).

გიორგი. მარტოვა ლაშარაკობდით?

სიღონა. დიან, შე გახლდით.

გიორგი. რა იყო? რას უნდა მივაჩემოთ რომ მარტო ხდამიანი ელაშარაკობდეს თავის თავსა ანუ ჩრდილსა.

სიღონა. უნდა მივაჩემოთ. იმის უბედურებას, მის უბატონობას, და ამასაც რომ, თავისთვის მაინც ატყვს თავის დარღს თუკი არავინა ჭყავს ქუჩქანასედე გულის მისანდობი.

გიორგი. (წყენით) მაშ მე თქუენს აღრათ მისხმით,

და არც ჩემს ცოლსა, ეს მანაც მიბძნეთ, რათ დამიბ-
მობილეთ? ეს არ იყო თქვენსა იხივსა რამ დასავით
შეგულებოდი, საუდარშია შიშდელმა ერთს სანთს ძლივს
გაათავა ჩვენსა დამბობის ლოცვების კითხვა, და თუგი
შე ძმათ და გულის მისანდობლათ შეგულები, მამ სულ
ტყვილი უფილსა, მაშინდელი თქვენნი ფიცი და სურვი-
ლი დამბობისა

სიღონია შე თქვენსედა რამ არ განბობ, შე სხუასა
ქსნივი.

გიორგი. მითამ ნათესავი რამ არა ვარ იმასედა ეგ
რა გგონია, ამ დროშია ვი იცით რამ ესდა შეგობრუ-
დს სიყვარულს უფრო აფესებენ მანამდის ნათესაობისას.

სიღონ. ა. დემეტრე ნუ მომაგლოს თქვენსა სიტოცსა
დე. შე თქვენსგან კელი დახმარებას ამ ჩემს გაჭირებაში.

გიორგი. უნდა შეკითხა იმ დღესაც და დრო არ შე-
მხუდა, ესენი ხომ არას გაწუხებენ? რამ თქვენსა სათქ-
მელი სულ ეგ არის.

სიღონია. მეც ხომ სხუასავით ვერ ვიყუარებ და, ვინც
შინაური არ იცის ისე ვერ იფიქრებს.

გიორგი. საკვირველი გეთიჯნასათებისათვისა სხანან
და რასედა გაწუხებენ, შე ეს არ მესძის.

სიღონია. რასა შეითხამთ და ან რათ გინდათ რამ
ჩემს სევედაში მონაწილეობა მიიღოთ,

გიორგი. ხურას დამიმაღამ შენ გარდას. გარწმუნებ,
თქვენს უოველსავე მწუხარებას დაჯსანამ ჩემს მხვედრათა.

სიღონია. ეჭ. ძმათ, კაცი რამ იუოს სხვს მონებას
ქვეშ, რათ ექნება იმას სასიამოვნოთ.

გიორგი. სოგი ერთნი ამბობენ: ამდროში მეგობ-
ობა აღარ არისო, მართალი ნუ გეგონება!... დავით-
ციციბო, რომ ესღა უფრო სსუა კეთილშობილურის გრ-
ძნობის შექონე ხაჯხნი ვართ... აი თითონ ჩემს ცოდნს
რამდენჯერ მოჭკონებისარ სიბრალულით.

სიღონია. ჩინებული გულისა ბრძანება თქმნი ცო-
ლი, მე ძალიან მადლობელი ვარ იმასი.

გიორგი. რადგან მე არას მეუბნები, დავითადე ის ყვე-
ლას გათქმევინებს, მე ამ უამ.თ ბეკრი ღაპარაკის დროც არა
შაქქს, შემდეგისათვის დარჩეს, მშვიდობით. ვასტანგთან
საქმე მაქვს. გარეთა ბძანება?

გიორგი. (თავს დაუკრავს გაქალაქებისას. გავა.)

სიღონია. (მარტო) ეს ერთი ძალიან კარგი ნუგეში
მეაგს და ჩემს ფიქრებსადაც ვიცი დაშესმარება იმათ ჩემათა.

გამოსვლა 15.

(იგივე და სოფიო)

სოფიო. ჩემთან რატომ არ შემოსველ, მარტო რას აგ-
ეუბ?

სიღონია. მე ასე მეგონა მაშასთანა ბრძანდებოდი.

სოფიო. შითომ ცოტას ხანს ძილს ვაპირებდი, მაგ
რამ ფიქრმა ნება არ მომცა.

სიღონია. რა გაქმს საფიქრბელი? ვინ არი. ქმნყა
ნახედ შენისთანა ბედნიერა?

სოფიო. განა არ იცი საგანი ჩემის ფიქრისა, შენ
თან განვიყოფ სულმე მწუხარებას, და დაუფარავათ გა-
მავთქმამ ჩემს ამბავს; შენი ერთი ნუგეშისნის მოცემა,

ყოველსევე მწუხარებას განაჩარკებს ჩემს გულში.

სიღონია დარწმუნებული ხარ სოფიო, რომ ამ ქუჩა-
ყანაში, შენა ხარ, ჩემი ნუგეში და შენის მწუხარებისა,
გინა სმხარულისა ვარ თანა ზიარი, სიტყვით ნათადის
გამოთქმა არტვი შემოძლიან.

სოფიო. ვიტე სიღონიაჟან რომ შენი გული უტვალ-
ებელი არის ჩემს სიუჟარულსა და ერთგულებასკედ.

სიღონია. ერთს დღეს არ შემოძლიან უშენოთ გაძლ-
ებს ღმერთთა არის გულთა მხილავი.

სოფიო. გუფიტები სიღონიაჟ, რომ თუ შედიხსება
ჩემის ფაქტის შესრულება, შენც ჯარგის ქმრით გაგაბე-
დნიერებ.

სიღონია. ჩემის მხრავ შე გამჯობინებ შენ საქმით
იმას, რომელსედაც ლაზარაკი ჰქონდა შენთან მამა თქუჩა-
ნს, გიორგიმ შემოფიიტა, რომ შენ იმას გაგიუებით
უუჟარხხარ თურმე.

სოფიო. ნუ გაშინისენებ, თუ ღმერთთა ბრწამს! სხვსა-
გან ჩემს სიუჟარულსა, ჩემი გული მხოლოდ ერთს ემო-
ნება და იმისთვის მიეტემა ყოველს განწირულებას! . .

სიღონია. რადგან შენი ერთგული ვარ და ჩემს რჩევას
უურად ელებას მიაქტევე ხოლმე, კიდევაც გაგათრთხილებ,
მაც საგანსედ თქალებმა არ მოგატყუონ.

სოფიო. ხომ ამბობენ თქალი მაცთური არისო, შაგ-
რამ, მე გარწმუნებ თქალი გულის ამხანაგია და თვალს
გულითა აქუჩს მხედველობა! . . გული რომ არ ეუბნებო-
დეს, თქალები არც ერთს საგანს არ მიმარტუჩნ, სწო-
რეთ თქალი ჯარგისა სანოელია გვამისა.

სიღონია. მაგ თქვენს სატყუარსად, მე თანახმა არავარ. განა არ შეიძლება, თქული გულის მიხედვით და გული თქულის მიხედვით შესცდნენ? შემდეგ გასწორება ძნელია!..

სოფიო. ოჰ! მოკა განა ის ნეტარებითი დრო, როცა დესტ ორნი მოყვარული შეუდლებული ვიქნებით? განა ერთხელ შეშინიშნავს იმის თქულებში ცრემლები, როცა დესტ არ ვაქცევიდი ყურადღებას, და ესეც არა მგონია თუ დღეს ის ცოცხალია იქნებოდა, რომ დაკრძალულ ვიყავ ძველებურის ჩუჭულებით.

სიღონია. გაცების გულგრილობას, მაგრე როგორ მინდობიხარ? დღეს გაქებენ, ყოვლის ცხოვრებით გემს-ხუჭულებიან, ხასიგუდინედ თავს გასწორენ და შეიძენ დღესკი გაძაგებენ ყოვლის ცუდის ზნის დედის დაგსმენ ყოველს ბოროტებას მოგაწერენ, არ დაგსოგვიან მოსა-კლავათ.

სოფიო. (მოზადებით) ოჰ, რა კეთილი ქალია ეს სიღონია! ნეტა რა სახათი იყო, რომ ეს ღუთისნიერი სული შემოიყვანა დედანქმმა? უფრო და უფრო შემყვანა რა თავი, და რომ შეიძლოდა ამანედ მომატებულათ გული დაქწოდა?

სიღონია (ფანჯარაში გაიხედავს). უი! ლევან მოდის!

სოფიო. (მხარულებით) მარალა? ძლივს არ გაუბუ-დავს.

სიღონია. (მოზადებით) ნეტავი თქულით მაინც აღარ მანუქნა, რომ სიყვარული არ გამიცხოვლდეს. . ოჰ! რა ძნელია ვაჭრ უუვარდეს ვინმე და იმისთვისკი ვერ შემც-ნევიანებინოს, სიყვარული, ისკი სხუას უნდა ეაღიწიებოს

დეს. ისიც თუაღიწინ. (მაუბრენდება სოფიოს;) მკობი
იქით ოთახში გიანდები: იქნება საკუთრათა გსურთ ღა-
ზანაკი.

სოფიო. რას ანბობ, ქალო! შენთან დაფარული რა
გვაქვს? შენახარ ჩემი გულის კარბი.

გ. მ. ი. ვ. ლ. 16 .

ივინივე და ლევან. (შემოდის თავის დაკეობით)

ლევან. რამდენი თვე არის, რამდენი წელიწადი და რა-
მდენი საუკუნე რაც აღარ მანახიხართ?

სოფიო. მერე ვაი ბრალა?

ლევან. ღაბუამ არ მოგახსენათ ჩემა აქ ყოფნა?

სოფიო. როგორ არა, სხუაც ბერია დაუმაცა, მაგ-
რამ დიდმა დრომ გაიარა მას აქეთა.

ლევან მიხსუსია მომეცა თორემ აქამდის რა დამა-
ყენებდა, ნუთუ არა ჭკრძისობდე, როგორ სულის სიმ-
შვლეს მამლევს შენი ერთი თვლით დანახვა? თუ მართ-
ლად დამარწმუნებ საყვარულსედ და ასოცამ ჩემს ეჭვებს,
მაშინ რამდენი შემომხედამს მტრულად და ამასაც გეტ-
ყვ შე ვიცო ზოგი ერთნი რომელნიც უკანასკნელს ტო-
ვრებსას გასწირვენ შენის აღერსიანის შეხედვისთვის, მას
გრამ შე უნდა ვაიმზარტაგო შენით ქუჭყანაში. . . ბედმა
შე უნდა მომანიჭოს, შენი მშუტნიერია ოაკი . . .

სიღონია. (გაიგლის, შუროთ უყურებს და მოწიფებით
ღაზანაკობს:) როგორ არ მიყვარდეს ამისთანა მშუტნი-
ერი ქმნილება და როგორ არ უნდა მოვიხმარო ეოკელი
ღონისძიება ამათს განშორებასედ.

სოფიო. რასაკურთხელები დაკრძალვა მშობრებს, მაგრამ
თუ არ გიოხარ როგორ გავაგებინო და, მოხარულიცა
ვარ ლევან, რომ ამისთანა თავისუფალ დროს შემოსველ,
დაუფარავად გპტუვ ყოველსავე, მამჩემს ვაწყენინე და
ამათ აღჩეულს საქმბრსედ უარე უთხარ. შენგან გუ-
ლის გამოცვლა ხომ აღარ შეიძლება, სწორეთ მიიხარ?
ჩემსედ ეჭვ ნულარსედ გქქება, მეყვარება სიკუდილამ-
დის და მიყვარხარ გეფიცები.

ლევან. ეს რა მეუულება!.. განა შენც ეჭვ გაქქს? მამ
მართლა გყვარებივარ და შემოვიდეს მამაშენი მე ესლავ
გამოუცხადებ შენს თხოვნასა. მეშინიან გული აღარა-
ვინ გამოგიცვალარ.

სიდონია (მოჩილებით) ჭხედავთ ამათ სიყვარუ-
ლს?!- უჩინო ძალა! შენ მომეხმარე!..

სოფიო. მამჩემს ჯერ ნურას ეტყვი შენი ჭირიშე,
კვხათრება.

ლევან. რატომ, ვითომ რაღას უნდა მოკვიდილოთ?

სიდონიას (მიუბრუნდება.) თქვენ რატომ ბძანდებით
დაფიქრებული?

სიდონია. როგორ? მე გარგათ გასლავართ.

სოფიო. რასა ბძანებ, სინარულით აღარა გაკებარა,
ხომ იცი როგორ უყვარვარ.

გამოსვლა 17.

ივინიე და ვასტანგ.

ვასტანგ (თავს დაუკრამს და ლევანს კედს ჩამოართ-
მებს) ლევანს გაუმარჯოს! როდის მობძანებულხარ?

ლევან. ეს არის გასული
ვახტანგ. ახალი ამბები. რა არის?

ლევან. რათ მანდა ხსენების ახალი ჯერ ჩემი ამბავი
არა მითქვამსრა.

ვახტანგ. თქვენს? რა მოგხდენიათ განა.

ლევან. არაფერი ისე მოგახსენებ.

ვახტანგ მე შეგონა რამე.

ლევან. ჩემთვისა მინდა არის და არ ვატი თქვენსა
როგორღა იქნება მისაღები, რომ უნდა გავბედა და
სოფიო გთხოვთ. თუ ღირსი ვიქნება თქვენსა შ-
ლობისა.

ვახტანგ. სოფიოს ბედნიერებასა და სასამოვნო რ და
შექნება ქუჩისანსადა, მაგრამ ეს ჩემს სურვილით არავის
იჩავს.

ლევან. თუკი თქვენს ნებას მომტყმთ მაცასტა ვთხოვ.

ვახტანგ. ჩემის მხრივ თანახმა ვარ, თუკი ეს ისურვებ.

ლევან. (სოფიოსთან შივა და კელსა სახსოვს) გთხო-
ვთ თუ ღირსათ მსუდამთ კელი შობამათ.

სოფიო. (კელს აძლევს.)

ლევან. (კელსა და ჰგონის)

ვახტანგ. (სინარულით შეჭურვბს) შჯელ ლევან! მე
ლოტა ხანა არ მიტოვსღია, მაგრამ განგლიღს წლებში
რომ არ შეტოვსღა არ ვინანებღი და ესღაჟი ერთი წა-
მის სიტოტსღე მიმანია ძვრთასად. . რისთვის? იმისთვის,
რომ შევესწრა ჩემი სოფიოს ბედნიერებასა, ანგარიში
არა მამქს რამღენი მოტიქულები მომდიოდა, მაგრამ მ-
გისი სურვილი არავინ იყო და რადგან შენ ადგირჩია,

მე ბევრი მოთმენა აღარ შემიძლიან, მაშნულად მომალე-
დინებ ვჭურცი ესლავ დაიწყო, აი, სამოცს წელში მივი-
წუღვარ და მაგას შეგეუბნებ.

ლევან. ბატონო! თქვენს მაგასა ბძანებთ, მაგრამ მე
უფროც მეშეუბნება, სომ იცით დედანი იდეასი ანას
ჩემს დასთანა და რამდენჯერ მამიწეობის სვეწნა რომ ჩქა-
რს წამოვიდეს, დარწმუნებით თქვენსგან არა ვიცოდირა,
მაგრამ იმასკი ვიწერდი ხოლმე რომ ც დას ვირთამ, და
თუ არ მოვა უიმასთ ვჭურს დაიწყო, წიგნებს წაგა-
გათსებთ რიგორ სვეწნასა მწერს: «ჩემის ლოცვა გურ-
თსეკით უნდა გაბუნდირდე შელოგო და უხემათ ვკარი
არ დაიწროგო» ესლავ უვანასგნულთ დავიბარებ, მოვა,
გარგია, თუ არა და ვვარს დაიწყო. სიკუდილის შეტი
სოფიოსკედ გელს ვერა ამაღებინებსრა.

ვანტანტ. ვმადლობ დმერთსა, ესლა გულ მინც დავა-
ჯერე, და მეტადინება. რომ ჩემი ქალი გათსოვილია,
ამის შემდგომ ვეკლანი შეიტუობენ, აღარც მოციქულე-
ნი გამიწორილებენ გულსა. სომ იცი შელო ჩემს შეტი
მსტუნველი მაგას, არავინა ჭყავს, მსითხსა რადა ვსთ-
ქება. რაც რამ საცხოვრებელი მზადია მაგისი არის.

ლევან. მე მსითვეს არ უეუბნებ; რადგან ჩვენს ერთ-
მანერთი გვივარს გმყოფილნი ვიქნებით.

ვანტანტ. (წამოდგება და ლევანს პირსედ აკოცებს,
ლევანც გელსედ ჭკოცნის). დღეის შემდგომ შენა ხარ
ჩემი თქალის ჩინი შელი და შენგან უნდა შეღირსოს
დასაოლაგება.

ლევან. დმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, ჩვენსთხს

მივარკველათა.

გამოსვლა 13

ივინიკე და სტეფანე ფერშალი (შემოდის იმ სახითვე ჩატყული და კარაბადინით).

კნიასო! ასეთი წამალი მიკუ, რომ ფიტსლავ ფესხედ წამოვაყენე.

(ამათ მოჩიდუბით) თქვენსმა მცემე, სულ გალქილია ზოგირდი ვახვი!.. არა თქვენნი ჭირიმი, სხვა რა შქანდა? ვასტანგ კარგათ არის? ღმერთმა გიშველოს, მოგიო რჩენია.

სტეფანე ფერშალი. კნიასო ლევან, თქვენს როგორღა ბძანდებით?

ლევან როგორღა მხედავთ.

სტეფანე ფერშალი. აბა მაჯა გინასო, მაშინ უფრო შეგატყუოვ. (მაჯას გამოართმევს და უშინჯავს) ოჲ, თქვენსო ბრწყინვაღებავ! თქვენნი სისხლი რა აჩქარებით მომდინარეობს.

ლევან. (იტინის) ხა! ხა! ხა! ჩინებულა ექიმი ბძანდები.

სტეფანე ფერშალი. იმედი მაქქეს ჩემი გონება არ შეტყდეს.

ვასტანგ. რატომ არ მომილოცავ, რომ ლევანმა სლუიო ითხოვა.

სტეფანე ფერშალი ეჲ, რას შატყუებთ.

ვასტანგ. სოფიოს მცემე გადავსწუებოტო და ქორწილიც ჩქარა იქნება

სტეფანე ფერშალი. უაჩად სოფიო! მარგალიტივით

ბიჭვი ავირჩევიადა. (ლევანთან ასლო მივა,) აბა მე მანუქებ, სოფიო ნახეკარზედ ჩემი გაზდილია, ერთი წელია იყო რომ მე ეს სახლი გავიციან, მხრები ჩამოცლადი შექონდა მავისგანა.

ლევან. დაცადე საშენო საჩუქრებს მოგიშნადებ.

სტეფანე ფერშალი. რასა, ესლავ მიითარ თორემ საქმე სხვანაირათ იქნება. კარგს ცხენს ვერა.

ლევან. რატომ არა, აბრეშუმის აბით და წამლების ძარბლებით მოგკრთმევა.

სტეფანე ფერშალი. სოფიო, აბა შენ რადას მამლეკ.

სოფიო. ესლავ შენა გმარებებს ჩემთან ფეშქაშები და შემდგომ ჩემგან მიიღებ

სტეფანე ფერშალი. შაიტა ეგ კრიალესანი მანინტ მას ჩუქე, მეტ მომხლება მამიჩემის ცხონებაში.

სოფიო. რადგან მოხდენას მარწმუნებ კარგს კრიალესანს მოგკრთმევა.

სტეფანე ფერშალი. ახლავი გაქებ. (ლევანს მიუბრუნდება) აი იტოდე რომ შენ ამისთანა ქალს ტრახინონში იატ ვერ იშოვი, მეჩე იათესა და.

სიდონია. სუელეურს ღაზარაკს თავი დანებე.

სტეფანე ფერშალი. რას იღრიჯები, ქუჭყენის ხარჯს შენა გთხოვენ? ავით სომ არა ხარ? ნახე რა წამლები ამოგირჩიო ჩემი კარბადინიდან!...

სიდონია. ავით თუ გავხედი, სწორეთ შენ გაწამლებინებ შენის თავის მსემა.

კასტანგ შჯლო ლევან! ჩემი შამულის საქმეზედ ესლავ ქალადები მომივიდა, რუსული არის და თუ არ შესწუ-

ხდები აბა წამოხმანდი წამოკითხე.

ლეკან. ბატონი ბძანდებით.

ვანტანგ. სოფიო! წამოდი აშოიდე.

(სამნივე გავლენ)

სიდონია. ახ სტეფანე! შენს კარბადინში ნეტავი ასე
ეთი რამ ეწეროს, რამ ვინც მე მინდა იმას გავიყუბით
შემაყვაროს. . .

სტეფანე ფერშადი. სიყვარულის წამალი? ატა მოგეპო-
ბნო: ასეთი რამ მიწერია. რა ღმერთო ვისაც ვი
ამას
ყვედ შაყრი თავის ღლეში გეღარ მოგშორდება.

(მივა კუთხეში სკამს მიადგამს დაჯდება და კარბადი-
ნსა შლის.)

სიდონია. (ხედავს რამ ფერშადი გულს მოდგინეთ
ჩასტკერია, თითონაც დაფიქრდება, დაღონებული გაივლის
და გამოივლის.) დიან? ესა უხდა მოკინმარო ყოველი
ღონისძიება, დღესვე უნდა შევიდე იმის წრუნებაში, რი-
თაც ღონით იქნება უნდა განკიდებნო ლეკანისა და სო-
ფიოს სიყვარული! . . მამამაც ნება მისცა, გადაწვტეს,
ჯუჯანის წერას მხლოდ აღადინებენ დედის მოსვლას,
ლეკან შეუბოკრად ყოველ დღე დაიწეებს აქ სიარულსა
და თვალთ მათურებინებენ კრთმანერთის ალერსს. . .
ესა დიდი ფიქრი მინდა (მივა სკამსვედ და ფიქრში
შევა) დასწევვლა ღმერთმა! რატომ ასე ძილი შევიდება?..
ანკი რა საკვარველია რამ შეძინებოდე? წუხელ მთელი ღამე
ფიქრისაგან არა მძინებია. . (დამთქნარებს. სკამსვედ მი-
